MES 9 23 0001426277

24/10/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10. 10. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:10 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **სხდომის თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
5. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
6. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

7. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
10. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
11. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
13. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
14. **თამარ სირაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
17. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწ ესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**

1	შალვა კირთაძე		უნივერსიტეტის რექტორი	I
2	თეა კორძაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	კოსტანტინე სირბილაძე		საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროგრამის ხელ-ლი (დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის - ბაკალავრიატი	I
4	ციცინო თურქაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	მაია გრძელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი (მოდის დიზაინი - ბაკალავრიატი	I
6	ლელა კიკნაველიძე		პროგრამის ხელმძღვანელი (მოდის დიზაინი - ბაკალავრიატი	I
7	ნანა თხელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი (მოდის დიზაინი - ბაკალავრიატი	I
8	ნატალია ლომთაძე		პროგრამის ხელმძღვანელი (მოდის დიზაინი - მაგისტრატურა)	I,
9	ირინა უგრეხელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი (მოდის დიზაინი - მაგისტრატურა)	I
10	ანზორი გვეტაძე		პროგრამის ხელ-ლი (დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის - ბაკალავრიატი);	I
11	მაია შარაბიძე		პროფესორი (დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის - ბაკალავრიატი)	I
12	თამარ მოსეშვილი		პროფესორი (დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის - ბაკალავრიატი)	I
13	ნატო ფაილოძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალისტი	I
14	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II

15	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	**II**
16	თინათინ კაიშაური		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
17	ალექსანდრე შარმაზანაშვილი		ინგლისურენოვანი მაგისტრატურის პროგრამის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" ხელმძღვანელი;	**II**
18	ნიკო ცუცქირიძე		აკადემიური დოქტორი	**II**
19	არჩილ სურმავა		აკადემიური დოქტორი	**II**
20	კახა დემეტრაშვილი		პროფესორი	**II**
21	ბესიკ კეკელია		აკადემიური დოქტორი	**II**
22	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
13	ნათელა წიკლაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	**III**
14	ასიე ცინცაძე		პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მარია შტრანეკოვა	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	ნანო მგალობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
3	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
4	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
5	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
6	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
7	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
8	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
9	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
10	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო, "დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო და "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთულ ინჟინერიაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის "სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს მომავალ სხდომაზე განეხილა, რადგან აღნიშნული საკითხების დარგის ექსპერტები სხდომაზე დასწრებას ვერ ახერხებდნენ. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო, "დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო და "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთულ ინჟინერიაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო, "დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო და "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი;

"მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 33, 16.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მოდის დიზაინის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 7, 4600, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	

"დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 7, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

"მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მოდის დიზაინის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 7, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, მარია შტრანეკოვა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და კლასტერში შემავალ სამ პროგრამასთან მიმართებით განაცხადა რომ რეკომენდებულია გაფართოვდეს კავშირები ინდუსტრიაში არსებულ საწარმოებთან. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების შესაძლებლობა დაწესებულებას გააჩნია. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკა გარკვეულწილად ხორციელდება პატარა „ვორქშოფებით“, რომლებშიც სტუდენტები სწავლობენ იმას თუ როგორ გააკეთონ „თარგი“. ასევე, ექსპერტის განმარტებით,

რეკომენდებულია საერთაშორისო კავშირების გაფართოება და პრაქტიკოსების მოწვევა, უნივერსიტეტში მომუშავე ლექტორები დარგის კარგი სპეციალისტები არიან, თუმცა დარგის თანამედროვე ტენდენციებს რომ არ ჩამორჩნენ, სასურველია ჩაუტარდეთ კრეატიული სემინარები. რეკომენდებულია ფინანსური მხარდაჭერა პროგრამების განვითარების მიზნით როგორც კლასტერში შემავალი პროგრამებისათვის, ისე მთელს ფაკულტეტზე.
მარია შტრანეკოვას აზრით, დიზაინი არ არსებობს იმ სრულყოფილი სახით, როგორითაც უნდა იყოს წარმოდგენილი, თუმცა ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელია სტუდიოების გაკეთება. ასევე, ინტერდისციპლინური პროექტების შემუშავება იქნება ძალიან კარგი საწარმოო პრაქტიკაში, სადაც გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტექნოლოგიები, ხელსაწყოები და კრეატიულობა. სტუდენტებს მოუწევთ იმუშაონ ერთად და შექმნან ინტერდისციპლინური პროექტები. რეკომენდებულია გამოგონების, შემოქმედებითობისა და კრეატიულობის გაზრდა ტრადიციული რეწვის მიმართულებით, რომელიც გამოიყენება შემდეგ შესაბამის დონეზე დიზაინში. მან ასევე განაცხადა, რომ უმჯობესია ტრადიციული რეწვა გამოყენებული იყოს თანამედროვე მეთოდებთან ერთად. გარდა ამისა, ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია პროგრამაში ისწავლებოდეს საგნები, რომლებიც შეეხება თანამედროვე დიზაინსა და სტილს. პროგრამაში გათვალისწინებულია ბევრი ისტორიული საგანი, თუმცა მასში მოცემული არ არის ახალი თანამედროვე ჟურნალები და წიგნები. სავალდებულო დისციპლინებს წინაპირობად არ უნდა ჰქონდეს არჩევითი დისციპლინები, მაგალითად, პროგრამაში სავალდებულო დისციპლინებს "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" და "ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" წინაპირობად აქვთ არჩევითი დისციპლინები -"ტექნიკური ნახაზის საფუძვლები" და „ტექნიკური იკონოგრაფია“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სოციალურ მედიაში. სტუდენტებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სოციალური მედიის გამოყენებით შეიტყონ პროგრამასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაცია. რეკომენდებულია თანამედროვე დიზაინის საგნების დამატება პროგრამაში. „მოდის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ სასურველია პროგრამაში მოწვეული და დასაქმებულები იყვნენ მეტი წამყვანი პირები რომ უზრუნველყონ წარმატებული ხელმძღვანელობა სტუდენტებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, შალვა კირთაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტი ყველა რეკომენდაციას იზიარებს.
"დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა კონსტანტინე სირბილაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია, რომელიც კურსების სტრუქტურაში თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიისა და სტილის დამატებას ეხებოდა უნივერსიტეტი იზიარებს.
„მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა მაია გრძელიძემ აღნიშნა, რომ პირველი სამი რეკომენდაცია, რომელიც კლასტერთან მიმართებაშია გაცემული, თუმცა მისი თქმით, სამწუხაროდ, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტების მონიტორინგს არ ითვალისწინებს. მისი განმარტებით, პროგრამაში გათვალისწინებულია ორი პრაქტიკა, კერძოდ, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, ჯამში 150 საათით, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ სტუდენტებმა თავისი შემოქმედებითი უნარები გამოამჟღავნონ ადგილზე საწარმოს სტრუქტურის გაცნობის საფეხურიდან მზა ნაწარმის მიღებამდე. პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებულია ფინანსური დოკუმენტი, რომელიც ითვლის სტუდენტთა იმ აუცილებელ რაოდენობას, რაც საკმარისია პროგრამის ფინანსური თვითკმარობისათვის. „მოდის დიზაინის“ მიმართულებით ირიცხება 23

სტუდენტი, რომელსაც ემატება გარე და შიდა მობილობით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა. შესაბამისად, სტუდენტთა აღნიშნული რაოდენობა პროგრამას თვითკმარს ხდის. გარდა ამისა, უნივერსიტეტის არსებობის 55 წლის მანძილზე დაწესებულებამ მატერიალური რესურსი დააგროვა საკმარისი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, თუმცა 2016 წელს განხორციელდა ძირეული ცვლილებები განათლების სამინისტრო ხელშეწყობით. მისი თქმით, 35 ერთეული მანქანა - მოწყობილობა იქნა შემოტანილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ლაბორატორიების აღჭურვისათვის. მაია გრძელიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამას არასდროს შეჰქმნია ბაზის განახლებასთან დაკავშირებით პრობლემა. საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ამ ეტაპზე შემოიფარგლება უკრაინისა და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობით. პროგრამაში არჩევით საგნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არჩევითი საგნები „ტექნიკური ხატვა“ და „ტექნიკური ხაზვა“ წინ უძღვის ტექნიკური მოდელირების საკითხებს როგორც ფეხსაცმლის, ისე ტანსაცმლის მიმართულებით. „ტექნიკური ხაზვა“ ძირითადად ინჟინრული მიმართულებისაა, ხოლო „ტექნიკური ხატვა“ ტექნიკური მოდელირების მიმართულებითი დისციპლინა. ამ ორი საგნიდან ერთ - ერთი მაინც უნდა ჰქონდეს სტუდენტს გავლილი იმისათვის, რომ ის გადავიდეს ტექნიკური მოდელირების ეტაპზე. ამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია „სასწავლო გეგმაში“.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ისე საერთაშორისო მასშტაბით მიღებულია, რომ კურსებს შეიძლება ჰქონდეს წინაპირობა რომელიმე არჩევითი სასწავლო კურსის. ასეთი კონფიგურაციით სხვადასხვა პროგრამები არის შემუშავებული უნივერსიტეტში. მისი თქმით, დაწესებულებას მსგავსი სახის რეკომენდაცია სხვა პროგრამებზე არ მიუღია. "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა უგრეხელიძემ მოწვეული დიზაინერების კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დებულება, რომლის მიხედვითაც არის დადგენილი თუ ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. იქიდან გამომდინარე, რომ სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო მიმართულების არის, დასაშვებია სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელი იყოს მოწვეული დიზაინერი.

აგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია გრძელიძემ სოციალურ მედიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის ოფიციალურ და „Facebook“ გვერდზე ინფორმაციის განთავსების წყარო. რექტორის ვიზირებით ხდება ყველა ინფორმაციის განთავსება როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

ექსპერტმა ნინო მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ შესაბამისად არის გაწერილი თვითშეფასების ფორმატი და პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა მისი თქმით, სავალდებულო კურსებს წინაპირობად არ უნდა ჰქონდეს არჩევითი კურსები, მაგალითად, პროგრამაში სავალდებულო დისციპლინებს "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" და "ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" წინაპირობად აქვთ არჩევითი დისციპლინები "ტექნიკური ნახაზის საფუძვლები" და „ტექნიკური იკონოგრაფია“. ექსპერტმა ნინო მგალობლიშვილმა პორტფოლიოსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის არ უნდა წარმოადგენდეს დაწესებულებისთვის ე.წ. „დეკორაციას“, რადგან პორტფოლიოს მნიშვნელობა ძალიან დიდია პროგრამის განხორციელებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. ის დაინტერესდა, პროგრამაში გათვალისწინებული ორი პრაქტიკა კერძოდ, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა არის თუ არა ჯამში 150 საათიანი. მისი თქმით, ყველა დიზაინის

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აუცილებელია ე.წ. „დუალური სწავლება“, ე.ი. თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღება. გარდა ამისა, ის დაინტერესდა როგორ ხდება არჩევითი საგნის არჩევა. სტუდენტი ინდივიდუალურად ირჩევს მას თუ ჯგუფის მიერ უნივერსიტეტთან შეთანხმებით ხდება არჩევა.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ციცინო თურქაძემ აღნიშნა რომ სასწავლო გეგმაში მოცემულია ორი არჩევითი საგანი, რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ნებისმიერს. საგნის გავლისას სტუდენტი კრებითად იღებს ერთი და იგივე სწავლის შედეგსა და კომპეტენციებს სხვადასხვა კურსით. ამის შემდეგ, როგორც სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული, სტუდენტი იღებს ან ერთ ან მეორე კურსს. ასეთი პრაქტიკა აქვს უნივერსიტეტს. მაია გრძელიძემ განაცხადა, რომ არჩევითი კურსების სასწავლო ბლოკში თუ რამდენიმე საგანთან ერთად ფიგურირებს თავისუფალი კომპონენტი, ასეთ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება არჩევით საგნებთან ერთად სხვა საგნები აირჩიოს. ეს ორი საგანი სავალდებულო არჩევითია. სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მაინც, რომ გადავიდეს შემდეგ კურსზე. ეს სასწავლო კურსები წინ უძღვის ტექნიკური მოდელირების საფუძვლებს. სტუდენტი ტექნიკური მოდელირებისათვის საჭირო ხატვისა და ხაზვის უნარებს იძენს აღნიშნულ სასწავლო კურსებში.
პროგრამაში გათვალისწინებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ არსებობს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა 5-5 კრედიტით. მათი საკონტაქტო საათი ჯამში არის 150. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს შემოქმედებითი სასწავლო კურსები, რომლებიც პრაქტიკული ხასიათისაა.
საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. ის დაინტერესდა, ჩარიცხული აბიტურიენტებიდან ყველა აგრძელებს თუ არა სწავლას მომდევნო კურსებზე. გარდა ამისა, პროგრამაში გაწერილია თუ არა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები. ასევე, ზოგიერთი რჩევა, მაგალითად, „სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინების საკონტაქტო საათები“ და „სასურველია საგანმანათლებლო პროცესს დაემატოს არჩევითი კურსები, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ თეორიული საბაზისო ცოდნის მიღების საშუალება“ დაწესებულებამ რომ არ გაითვალისწინოს, შეიძლება თუ არა ამ გაუთვალისწინებლობამ რაიმე გავლენა იქონიოს პროგრამის სწავლის შედეგებზე. გარდა ამისა, არის თუ არა შინაარსობრივად იდენტური ისეთი გაცემული რჩევები როგორებიცაა: „სასურველია ზოგადად კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა“, „სასურველია ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა“ და „სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა თეორიულ კვლევით პროექტებში“.
ექსპერტმა ნინო მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტუდენტთა ჩარიცხულ დინამიკას, თუმცა მათთვის გაურკვეველი აღმოჩნდა რამ გამოიწვია მსგავსი შეკითხვის დასმა. „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია გრძელიძემ სტუდენტთა ჩარიცხულ დინამიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიღება სტანდარტულია. სტუდენტს ყველანაირი პირობა ექმნება იმისათვის, რომ სახელოვნებო მიმართულებით მათი უნარები განვითარდეს. მისი თქმით, ყველა პროგრამაზე 11 გადასულ სტუდენტზე, 36 სტუდენტი ირიცხება გარე და შიდა მობილობით. სტუდენტის გადასვლის მიზეზი ძირითადად არის უნივერსიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა. ჭეშმარიტია, რომ სტუდენტი ირჩევს ისეთ უნივერსიტეტს, რომელიც მასთან ახლოა. ექსპერტმა ნინო მგალობლიშვილმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით აქტიურია კიევთან ურთიერთობა. კარგი იქნება თუ დაწესებულება გააფართოებს როგორც საგანმანათლებლო, ისე შემოქმედებით აქტივობებს. მისი თქმით, ყველა რჩევა ინდივიდუალურია, ისინი სხვადასხვა ამოცანას და მიზნობრიობას მოიაზრებენ. მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული საათებით დატვირთვა, რადგან ეს დარგს სჭირდება.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. ის დაინტერესდა, აქვს თუ არა მნიშვნელობა დაშვების წინაპირობის არსებობას პროგრამაზე, თუ სტუდენტთა შედეგი ერთნაირია. მაია გრძელიძემ უპასუხა, რომ არის ისეთი შემთხვევები როდესაც დაშვების წინაპირობის არსებობას პროგრამაზე არ აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, რამდენიმე დაწესებულებაში „სახელოვნებო ტური“ არის იმდენად გამარტივებული, რომ შეუძლებელია მისი დაშვების წინაპირობად არსებობდა. ერმილე მესხია დაინტერესდა, საკმარისია თუ არა B1 ინგლისური ენის დონით მაგისტრანტი გაეცნოს უცხოურ ლიტერატურას.
"მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა უგრეხელიძემ დასძინა, რომ B1 ინგლისური ენის დონით მაგისტრანტს შეუძლია გაეცნოს უცხოურ ლიტერატურას. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ბიუჯეტში გაწერილია თანხა პრაქტიკასთან დაკავშირებით, თუმცა მაგისტრატურის შემთხვევაში არ არის მოცემული. მაია გრძელიძემ დააზუსტა, რომ პრაქტიკის კომპონენტი ითვალისწინებს საწარმოს დონეზე ანაზღაურებას ერთ სტუდენტზე ერთ ლარს დღეში, რომლის შესახებ ინფორმაცია ბიუჯეტში მოცემულია. მისი თქმით, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე გასვლას, სადაც სტუდენტს ენიშნება პრაქტიკის ობიექტიდან მენტორი, მხოლოდ მისთვის არის გათვალისწინებული თანხა ბიუჯეტში. სამაგისტრო დონეზე არის მხოლოდ პროფესიული პრაქტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს წარმოების მხრიდან მენტორს და თანხაც ამიტომ არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული. სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა ექსპერტებს მიმართა, რომ ანგარიშის 2.2. ქვეკომპონენტში მოცემულ შემდეგ წინადადებასთან დაკავშირებით: „წერილობითი საბაკალავრო ნაშრომები ვერც კი აღწევენ დიზაინის სკოლების ამჟამინდელ დონეს“ მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. ის დაინტერესდა, თუ პროგრამის შინაარსი და სახელწოდება ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის, არის თუ არა პრობლემა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რა გახდა იმის მიზეზი, რომ სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით. ექსპერტმა ნინო მგალობლიშვილმა პრაქტიკასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ მასში იგულისხმება საპროექტო საქმიანობა და არა პრაქტიკა. გარდა ამისა, არსებობს პრაქტიკის მუშაობის სტუდიური ტიპი, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს. უნივერსიტეტი ადასტურებს იმის შესაძლებლობას, რომ გამოყოფს ისეთ სივრცეს, სადაც სტუდენტი შეძლებს სრულყოფილად და დამოუკიდებლად დიზაინერული პროექტების შესრულებას. მისი თქმით, არსებული პროგრამის განსახორციელებლად საკმარისია ის სივრცე, რომელიც დაწესებულებას გააჩნია, თუმცა კარგი იქნება თუ დაწესებულება გააფართოებს მას. საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასურველია ნაშრომებში მეტად იყოს შემოქმედებითი ნაწილი გათვალისწინებული. „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია გრძელიძემ აღნიშნა, რომ „გამოყენებითი დიზაინის“ პროგრამაში იყო არა საბაკალავრო ნაშრომი გათვალისწინებული, არამედ კომპოზიციის შესრულება მასალაში. მისი თქმით, ახალი პროგრამა დაეფუძნა იმ დარგობრივ სტანდარტებს, რომლებიც ახლა შემუშავდა. მასში უკვე გათვალისწინებულია 15 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი. მაია გრძელიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის სახელწოდების ცვლილება და მისი მისადაგება სწავლის შედეგებთან არ წარმოადგენს პრობლემას. ის სტუდიები, რომლებიც დაწესებულებას გააჩნია სახელოვნებო პროგრამებისათვის, თავისუფლად იძლევა პროგრამის განხორციელების საშუალებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 17:10

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (24/10/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (24/10/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის აქტუალური საკითხები;
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსი ინფორმაციული ტექნოლოგია სახელწოდება და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და გადაიხედოს მისი სწავლების აკადემიური სემესტრული თანმიმდევრობა.
3. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაკორექტირდეს სასწავლო კურსის "ფორმირების საფუძვლები" წინაპირობა.
4. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაკორექტირდეს სავალდებულო სასწავლო კურსების "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" და "ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" წინაპირობები
5. საწარმოო პრაქტიკის პროცესში რეკომენდებულია ინტერდისციპლინარული პროექტების შემუშავება;
6. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
7. პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასწავლებელთა უწყვეტი განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება (უწყვეტი განათლების პროგრამები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამები, მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან) და საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებისა და მასტერკლასების აქტიურად ჩატარება მოწვეული პრაქტიკოსების მიერ;
8. რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

9. რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად გამოყენება პროიგრამების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
10. რეკომენდებულია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
11. რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები:

- სასურველია , ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- სასურველია გადაიხედოს პროგრამებზე დაშვების წინაპირობები.
- სასურველია აქტიურად იყოს წარმოდგენილი კლასგარეშე აქტივობები (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი), რომლებიც ასახულია თვითშეფასების პროგრამაში;
- სასურველია კლასტერში შემავალი პროგრამების ინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერება, კერძოდ - საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად მოწვეულნი იქნებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში სტუდენტებისთვის სემინარების, მასტერკლასებისა და საინტერესო შეხვედრების ჩასატარებლად; საბაკალავრო და სამაგისტრო სამუშაოს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები, მოდის ინდუსტრიაში მომუშავე წარმატებული პრაქტიკოსები (დიზაინერები, ბიზნესმენები, მოდის მედიის წარმომადგენლები);
- სტუდენტებისთვის უნდა მოეწყოს ხელოვნების სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები და ა.შ.
- სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ დასაქმების არეალი ძირითადად მოიცავს საშემსრულებლო პოზიციებს, ამიტომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში იმ დისციპლინების აქტიური ჩართვის გათვალისწინება, რომლებიც, გარდა დარგის მიმართულებით პრაქტიკული უნარებისა, ხელს უწყობენ დიზაინის აზროვნების განვითარებას, მით უმეტეს, მაშინ როცა საუკეთესო პრაქტიკის კლასტერის პროგრამების შემუშავების მაგალითად უცხოური სკოლები გამოიყენება, რომელთა შედეგები ორიენტირებულია თეორიაზე/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინარული მიდგომების, შემოქმედებითი აზროვნების, ექსპერიმენტული აქტივობების გათვალისწინებით და ა.შ.
- სასურველია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
- რეკომენდებულია კლასტერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის განახლება სოციალურ მედიაში;
- სასურველია კურსების სტრუქტურაში ჩართული იყოს უფრო მეტი საგანი და თემა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის სფეროდან.
- სასურველია მოდის პროგრამის ვებგვერდის, ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია და სასურველია ბიზნეს სექტორის და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, რაც

გააძლიერებს მთელ პროგრამას, „მიაღწევს რა ოპტიმალურ შედეგებს, სასწავლო და მეთოდოლოგიურ პროცესში თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი ასპექტების სინერგიით“;

- სასურველია მეტი პრაქტიკული საგნების დამატება;
- სასურველია დიზაინზე ორიენტირებული საგნების ხილვადობა და მკაფიო სტრუქტურა;
- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინების საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროცესს აქტიურად დაემატოს მომიჯნავე ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინები (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო თეორიული ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;
- სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მითითებულ ჩამონათვალში სასურველია შეიტანოთ მეტი ლიტერატურა ახალ ტექნოლოგიებზე, მშენებლობაზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე, მოდის თეორიაზე და ა.შ.
- სწავლის დასაწყისში სასურველია სპეციალიზებული დისციპლინების საფუძვლების სწავლება;
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის პრინციპების გადახედვა;
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა (არჩევითი დისციპლინების შემადგენლობის გაცნობა);
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებით ლიტერატურა - მიეთითოს ლიტერატურა მსოფლიო მიღწევების შესახებ ახალი ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, მოდის თეორიის სფეროში და ა.შ. ასევე მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართები (მასტერკლასები, სემინარები, ლექცია/პრაქტიკის დაჩქარებული კურსები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები და ა.შ);
- სასურველია ზოგადად კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა თეორიულ კვლევით პროექტებში უზრუნველყოფილი იყოს, რომ მიმდინარე პროექტები დაფუძნდეს რეალურ პრაქტიკაზე;
- ხელი შეეწყოს სტუდენტთა ინიციატივებს საპროექტო საქმიანობებში;
- პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- დღეს მასწავლებლის როლი ფართოვდება. მოთხოვნადია პიროვნება-ექსპერიმენტატორი, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს დიზაინის მეთოდებს, ეძებს განათლების ახალ ფორმებს, ავლენს მსოფლიო პროცესების თანამედროვე გაგებას, აუცილებლად ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ცოდნას, რაც აისახება პროგრამის მიზნებში. სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული აქტივობები ამ მიმართულებით;
- მასწავლებლის მეთოდები, რომლებიც ასახავს პროგრამის სასწავლო გეგმას, უდავოდ ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- კლასტერის პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მომზადების/განათლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების შინაარსი.

- სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევარი) ასახავდეს ევრისტიკული დიზაინის მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ პრობლემების გადაჭრის გზებს და არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას.
- ინვერსიის მეთოდები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, ამიტომ სასურველია კლასტერის პროგრამების სილაბუსებში ამ მეთოდებით მიღებული შედეგების მკაფიოდ აღწერა (სპეციფიკურობის გათვალისწინებით);
- სასურველია, სასწავლო პროგრამის მენეჯმენტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების (მასწავლებლების) მოზიდვაზე, რაც პროგრამის განვითარების მდგრადობის აუცილებელი პირობაა;
- სასურველია სასწავლო პროცესში დიზაინერების ჩართვა;
- გაგრძელდეს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საერთაშორისო მისწრაფებებს.
- სასურველია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტიურად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ლიტერატურა (ტექნოლოგიის საერთაშორისო მიღწევები, მეთოდოლოგიური მიდგომები ტექნოლოგიაში, თეორეტიკოსების ნაშრომები/ანალიზები, თანამედროვე კატალოგები, საგანმანათლებლო ვიდეოები, დოკუმენტური არქივები);
- სასურველია Flalab-ის სივრცე აქტიურად გამოიყენონ ,,დიზაინი ტექსტილის და ინტერიერის" სტუდენტებმა, მაგალითად, სტარტაპებისა და სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად, ინოვაციური იდეებისა და პროტოტიპების შესაქმნელად, სასწავლო კურსების ჩასატარებლად და ა.შ.
- სასურველია ინდივიდუალური სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლება;
- სასურველია სახელოსნოების სივრცითი შესაძლებლობის გაუმჯობესება და მისი მყუდრო და კრეატიული ვიზუალის შექმნა;
- სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პროგრამული ბიუჯეტი მოიცავდეს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს, მათ შორის პერსონალის განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (24/10/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (24/10/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის აქტუალური საკითხები;
2. საწარმოო პრაქტიკის პროცესში რეკომენდებულია ინტერდისციპლინარული პროექტების შემუშავება;
3. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
4. პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასწავლებელთა უწყვეტი განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება (უწყვეტი განათლების პროგრამები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამები, მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან) და საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებისა და მასტერკლასების აქტიურად ჩატარება მოწვეული პრაქტიკოსების მიერ;
5. რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
6. რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად გამოყენება პროგრამების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
7. რეკომენდებულია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
8. რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები:

- სასურველია , ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- სასურველია გადაიხედოს პროგრამებზე დაშვების წინაპირობები.
- სასურველია აქტიურად იყოს წარმოდგენილი კლასგარეშე აქტივობები (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი), რომლებიც ასახულია თვითშეფასების პროგრამაში;
- სასურველია კლასტერში შემავალი პროგრამების ინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერება, კერძოდ - საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად მოწვეულნი იქნებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში სტუდენტებისთვის სემინარების, მასტერკლასებისა და საინტერესო შეხვედრების ჩასატარებლად; საბაკალავრო და სამაგისტრო სამუშაოს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები, მოდის ინდუსტრიაში მომუშავე წარმატებული პრაქტიკოსები (დიზაინერები, ბიზნესმენები, მოდის მედიის წარმომადგენლები);
- სტუდენტებისთვის უნდა მოეწყოს ხელოვნების სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები და ა.შ.

- სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ დასაქმების არეალი ძირითადად მოიცავს საშემსრულებლო პოზიციებს, ამიტომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში იმ დისციპლინების აქტიური ჩართვის გათვალისწინება, რომლებიც, გარდა დარგის მიმართულებით პრაქტიკული უნარებისა, ხელს უწყობენ დიზაინის აზროვნების განვითარებას, მით უმეტეს, მაშინ როცა საუკეთესო პრაქტიკის კლასტერის პროგრამების შემუშავების მაგალითად უცხოური სკოლები გამოიყენება, რომელთა შედეგები ორიენტირებულია თეორიაზე/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინარული მიდგომების, შემოქმედებითი აზროვნების, ექსპერიმენტული აქტივობების გათვალისწინებით და ა.შ.
- სასურველია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
- რეკომენდებულია კლასტერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის განახლება სოციალურ მედიაში;
- სასურველია კურსების სტრუქტურაში ჩართული იყოს უფრო მეტი საგანი და თემა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის სფეროდან.
- სასურველია მოდის პროგრამის ვებგვერდის, ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია და სასურველია ბიზნეს სექტორის და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, რაც გააძლიერებს მთელ პროგრამას, „მიაღწევს რა ოპტიმალურ შედეგებს, სასწავლო და მეთოდოლოგიურ პროცესში თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი ასპექტების სინერგიით“;
- სასურველია მეტი პრაქტიკული საგნების დამატება;
- სასურველია დიზაინზე ორიენტირებული საგნების ხილვადობა და მკაფიო სტრუქტურა;
- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინების საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროცესს აქტიურად დაემატოს მომიჯნავე ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინები (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო თეორიული ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;
- სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მითითებულ ჩამონათვალში სასურველია შეიტანოთ მეტი ლიტერატურა ახალ ტექნოლოგიებზე, მშენებლობაზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე, მოდის თეორიაზე და ა.შ.
- სწავლის დასაწყისში სასურველია სპეციალიზებული დისციპლინების საფუძვლების სწავლება;
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის პრინციპების გადახედვა;
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა (არჩევითი დისციპლინების შემადგენლობის გაცნობა);
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებით ლიტერატურა - მიეთითოს ლიტერატურა მსოფლიო მიღწევების შესახებ ახალი ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, მოდის თეორიის სფეროში და ა.შ. ასევე მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართები (მასტერკლასები, სემინარები, ლექცია/პრაქტიკის დაჩქარებული კურსები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები და ა.შ);
- სასურველია ზოგადად კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;

- სასურველია ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა თეორიულ კვლევით პროექტებში უზრუნველყოფილი იყოს, რომ მიმდინარე პროექტები დაფუძნდეს რეალურ პრაქტიკაზე;
- ხელი შეეწყოს სტუდენტთა ინიციატივებს საპროექტო საქმიანობებში;
- პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- დღეს მასწავლებლის როლი ფართოვდება. მოთხოვნადია პიროვნება-ექსპერიმენტატორი, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს დიზაინის მეთოდებს, ეძებს განათლების ახალ ფორმებს, ავლენს მსოფლიო პროცესების თანამედროვე გაგებას, აუცილებლად ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ცოდნას, რაც აისახება პროგრამის მიზნებში. სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული აქტივობები ამ მიმართულებით;
- მასწავლებლის მეთოდები, რომლებიც ასახავს პროგრამის სასწავლო გეგმას, უდავოდ ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- კლასტერის პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მომზადების/განათლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების შინაარსი.
- სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევარი) ასახავდეს ევრისტიკული დიზაინის მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ პრობლემების გადაჭრის გზებს და არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას.
- ინვერსიის მეთოდები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, ამიტომ სასურველია კლასტერის პროგრამების სილაბუსებში ამ მეთოდებით მიღებული შედეგების მკაფიოდ აღწერა (სპეციფიკურობის გათვალისწინებით);
- სასურველია, სასწავლო პროგრამის მენეჯმენტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების (მასწავლებლების) მოზიდვაზე, რაც პროგრამის განვითარების მდგრადობის აუცილებელი პირობაა;
- სასურველია სასწავლო პროცესში დიზაინერების ჩართვა;
- გაგრძელდეს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საერთაშორისო მისწრაფებებს.
- სასურველია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტიურად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ლიტერატურა (ტექნოლოგიის საერთაშორისო მიღწევები, მეთოდოლოგიური მიდგომები ტექნოლოგიაში, თეორეტიკოსების ნაშრომები/ანალიზები, თანამედროვე კატალოგები, საგანმანათლებლო ვიდეოები, დოკუმენტური არქივები);
- სასურველია Flalab-ის სივრცე აქტიურად გამოიყენონ ,,დიზაინი ტექსტილის და ინტერიერის" სტუდენტებმა, მაგალითად, სტარტაპებისა და სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად, ინოვაციური იდეებისა და პროტოტიპების შესაქმნელად, სასწავლო კურსების ჩასატარებლად და ა.შ.
- სასურველია ინდივიდუალური სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლება;
- სასურველია სახელოსნოების სივრცითი შესაძლებლობის გაუმჯობესება და მისი მყუდრო და კრეატიული ვიზუალის შექმნა;
- სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პროგრამული ბიუჯეტი მოიცავდეს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს, მათ შორის პერსონალის განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (24/10/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია7 წლის ვადით - (24/10/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:
1. სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის აქტუალური საკითხები;
2. საწარმოო პრაქტიკის პროცესში რეკომენდებულია ინტერდისციპლინარული პროექტების შემუშავება;
3. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
4. პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასწავლებელთა უწყვეტი განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება (უწყვეტი განათლების პროგრამები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამები, მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან) და საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებისა და მასტერკლასების აქტიურად ჩატარება მოწვეული პრაქტიკოსების მიერ;
5. რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
6. რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად გამოყენება პროიგრამების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
7. რეკომენდებულია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
8. რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
9. რეკომენდებულია "მოდის ჟურნალის გრაფიკა" კურსის დასახელების და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა, სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა/განახლება.
10. უნივერსიტეტმა უნდა მოიწვიოს/დაასაქმოს ახალი პედაგოგიური პერსონალი, ძირითადად მოდის დიზაინის სფეროში მოღვაწე მოწინავე პირები, რომელთაც შეუძლიათ აბსოლუტურად უზრუნველყონ მაგისტრანტების პროდუქტიული ხელმძღვანელობა.

რჩევები:

- სასურველია , ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- სასურველია გადაიხედოს პროგრამებზე დაშვების წინაპირობები.
- სასურველია აქტიურად იყოს წარმოდგენილი კლასგარეშე აქტივობები (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი), რომლებიც ასახულია თვითშეფასების პროგრამაში;
- სასურველია კლასტერში შემავალი პროგრამების ინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერება, კერძოდ - საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად მოწვეულნი იქნებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში სტუდენტებისთვის სემინარების, მასტერკლასებისა და საინტერესო შეხვედრების ჩასატარებლად; საბაკალავრო და სამაგისტრო სამუშაოს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები, მოდის ინდუსტრიაში მომუშავე წარმატებული პრაქტიკოსები (დიზაინერები, ბიზნესმენები, მოდის მედიის წარმომადგენლები);
- სტუდენტებისთვის უნდა მოეწყოს ხელოვნების სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები და ა.შ.
- სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ დასაქმების არეალი ძირითადად მოიცავს საშემსრულებლო პოზიციებს, ამიტომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში იმ დისციპლინების აქტიური ჩართვის გათვალისწინება, რომლებიც, გარდა დარგის მიმართულებით პრაქტიკული უნარებისა, ხელს უწყობენ დიზაინის აზროვნების განვითარებას, მით უმეტეს, მაშინ როცა საუკეთესო პრაქტიკის კლასტერის პროგრამების შემუშავების მაგალითად უცხოური სკოლები გამოიყენება, რომელთა შედეგები ორიენტირებულია თეორიაზე/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინარული მიდგომების, შემოქმედებითი აზროვნების, ექსპერიმენტული აქტივობების გათვალისწინებით და ა.შ.
- სასურველია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
- რეკომენდებულია კლასტერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის განახლება სოციალურ მედიაში;
- სასურველია კურსების სტრუქტურაში ჩართული იყოს უფრო მეტი საგანი და თემა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის სფეროდან.
- სასურველია მოდის პროგრამის ვებგვერდის, ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია და სასურველია ბიზნეს სექტორის და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, რაც გააძლიერებს მთელ პროგრამას, „მიაღწევს რა ოპტიმალურ შედეგებს, სასწავლო და მეთოდოლოგიურ პროცესში თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი ასპექტების სინერგიით“;
- სასურველია მეტი პრაქტიკული საგნების დამატება;
- სასურველია დიზაინზე ორიენტირებული საგნების ხილვადობა და მკაფიო სტრუქტურა;
- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინების საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროცესს აქტიურად დაემატოს მომიჯნავე ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინები (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება

სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო თეორიული ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;

- სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მითითებულ ჩამონათვალში სასურველია შეიტანოთ მეტი ლიტერატურა ახალ ტექნოლოგიებზე, მშენებლობაზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე, მოდის თეორიაზე და ა.შ.
- სწავლის დასაწყისში სასურველია სპეციალიზებული დისციპლინების საფუძვლების სწავლება;
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის პრინციპების გადახედვა;
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა (არჩევითი დისციპლინების შემადგენლობის გაცნობა);
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებით ლიტერატურა - მიეთითოს ლიტერატურა მსოფლიო მიღწევების შესახებ ახალი ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, მოდის თეორიის სფეროში და ა.შ. ასევე მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართები (მასტერკლასები, სემინარები, ლექცია/პრაქტიკის დაჩქარებული კურსები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები და ა.შ);
- სასურველია ზოგადად კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა თეორიულ კვლევით პროექტებში უზრუნველყოფილი იყოს, რომ მიმდინარე პროექტები დაფუძნდეს რეალურ პრაქტიკაზე;
- ხელი შეეწყოს სტუდენტთა ინიციატივებს საპროექტო საქმიანობებში;
- პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- დღეს მასწავლებლის როლი ფართოვდება. მოთხოვნადია პიროვნება-ექსპერიმენტატორი, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს დიზაინის მეთოდებს, ეძებს განათლების ახალ ფორმებს, ავლენს მსოფლიო პროცესების თანამედროვე გაგებას, აუცილებლად ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ცოდნას, რაც აისახება პროგრამის მიზნებში. სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული აქტივობები ამ მიმართულებით;
- მასწავლებლის მეთოდები, რომლებიც ასახავს პროგრამის სასწავლო გეგმას, უდავოდ ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- კლასტერის პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მომზადების/განათლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების შინაარსი.
- სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევარი) ასახავდეს ევრისტიკული დიზაინის მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ პრობლემების გადაჭრის გზებს და არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას.
- ინვერსიის მეთოდები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, ამიტომ სასურველია კლასტერის პროგრამების სილაბუსებში ამ მეთოდებით მიღებული შედეგების მკაფიოდ აღწერა (სპეციფიკურობის გათვალისწინებით);
- სასურველია, სასწავლო პროგრამის მენეჯმენტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების (მასწავლებლების) მოზიდვაზე, რაც პროგრამის განვითარების მდგრადობის აუცილებელი პირობაა;
- სასურველია სასწავლო პროცესში დიზაინერების ჩართვა;

- გაგრძელდეს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საერთაშორისო მისწრაფებებს.
- სასურველია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტიურად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ლიტერატურა (ტექნოლოგიის საერთაშორისო მიღწევები, მეთოდოლოგიური მიდგომები ტექნოლოგიაში, თეორეტიკოსების ნაშრომები/ანალიზები, თანამედროვე კატალოგები, საგანმანათლებლო ვიდეოები, დოკუმენტური არქივები);
- სასურველია Flalab-ის სივრცე აქტიურად გამოიყენონ ,,დიზაინი ტექსტილის და ინტერიერის" სტუდენტებმა, მაგალითად, სტარტაპებისა და სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად, ინოვაციური იდეებისა და პროტოტიპების შესაქმნელად, სასწავლო კურსების ჩასატარებლად და ა.შ.
- სასურველია ინდივიდუალური სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლება;
- სასურველია სახელოსნოების სივრცითი შესაძლებლობის გაუმჯობესება და მისი მყუდრო და კრეატიული ვიზუალის შექმნა;
- სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პროგრამული ბიუჯეტი მოიცავდეს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს, მათ შორის პერსონალის განვითარებას.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთულ ინჟინერიაში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთულ ინჟინერიაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. #77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI-კორპუსი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი, დონალდ სანელა სხდომას არ ესწრებოდა, თუმცა წარმოადგინა ჩანაწერი, რომელიც საბჭოს სხდომაზე გახმოვანდა. ის მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამა ეხებოდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კერძოდ დიზაინს, მოდელირებასა და ანალიზს ბირთვულ ექსპერიმენტებში. მისი თქმით, დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის იყო შეუთანხმებლობა ტერმინ - „ბირთვულ ექსპერიმენტთან“ დაკავშირებით. პროგრამა ორი წლის ვადით პირობით იყო აკრედიტებული 2022 წლის 18 სექტემბრამდე. პროგრამა სტუდენტების დიდი რაოდენობით არ გამოირჩეოდა რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე, კერძოდ, პანდემიამ და ინგლისურის მოთხოვნებთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა შეუშალა ხელი სტუდენტების მიღებას. მისი თქმით, პროგრამაში ჩართული დამსაქმებლები გამოირჩეოდნენ ენთუზიაზმით, თუმცა არცერთი მათგანი არ არის პირდაპირ დაკავშირებული ბირთვულ ინჟინერიასთან და ნაწილაკების ფიზიკასთან. მათ ძირითადად აინტერესებთ სტუდენტის ცოდნა გეომეტრიული მოდელირების, პროგრამირების და კომპლექსური სისტემების მიმართულებით. გარდა ამისა, დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა პროექტებში. ექსპერტის განმარტებით, პროგრამის მიმართ გაიცა 14 რეკომენდაცია, რომელთა დაკავშირებითაც უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ნაწილს დაეთანხმა, ხოლო

ნაწილს არა. არგუმენტირებულის საფუძველზე 2 რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში. ასევე, დაზუსტდა რამდენიმე რეკომენდაცია. განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამა მე-2 სტანდარტი და 2.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ჯამში დარჩა 12 რეკომენდაცია, დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის იყო შეუთანხმებლობა პირველ სამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა 1.2 კომპონენტს.
ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ დაამატა რომ პროგრამას პრობლემა აქვს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული პრობლემა ასევე არსებობდა წინა ჯერზეც, როდესაც პროგრამამ პირობითი აკრედიტაცია მიიღო.
ნათია ზედგინიძემ დააზუსტა არსებობს თუ არა საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებელი და იხელმძღვანელეს თუ არა ექსპერტებმა ამ დოკუმენტით. მიხეილ რუხაიამ დაადასტურა რომ სწორედ აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდონით იმსჯელეს ექსპერტებმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ბირთვულ ინჟინერიასთან არაფერ კავშირში არ არის საინფორმაციო ტრენინგების სერვისი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ლაშა შარმაზანაშვილმა ისაუბრა იმ 3 რეკომენდაციაზე, რომელიც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის თავსებადობას „ICTEC“ რეკომენდაციებთან. ექსპერტების აზრით, სტუდენტს არ მიეწოდება ძლიერი სისტემური ცოდნა ინფორმაციის მართვასთან, ინფორმაციის ტექნოლოგიების რესურსების დაგეგმვასთან და ქსელებსა და კომუნიკაციებთან დაკავშირებით. ალექსანდრე შარმაზანაშვილის თქმით, პროგრამაში არსებული სილაბუსები ინფორმაციის მართვას, ინფორმაციის ტექნოლოგიების რესურსების დაგეგმვას და ქსელებსა და კომუნიკაციებს ითვალისწინებს. ქსელები და კომუნიკაციები პროგრამაში არის ძალიან უმნიშვნელო კონტრიბუციით შესული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნული სასწავლო პროგრამა არ არის ქსელებზე ორიენტირებული. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია არის არა შინაარსობრივი ხასიათის, არამედ სქემატური. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინფორმატიკა არ გამოხატავს იმ სპეციფიკას, რაც ამ პროგრამას აქვს, თუმცა ყველაზე კარგად მიესადაგება. მისი შეცვლა სხვა საგნით გამოიწვევს პროგრამის შინაარსის შეცვლას. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა არ ეხება ბირთვულ კვლევებს და არცერთი შედეგი არ გადის ბირთვულ კვლევაზე. პირველი შედეგი პროგრამაში იკითხება შემდეგნაირად: „სტუდენტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებთან დაკავშირებულ ინფორმატიკის ამოცანების შესახებ“. ამრიგად, პირველი რეკომენდაცია არის სქემატური. უნივერსიტეტი არ იზიარებს ექსპერტების მიერ პროგრამის 1.2 სტანდარტის შეფასებას ნაწილობრივ შესაბამისობად. ალექსანდრე შარმაზანაშვილმა აღნიშნა, რომ "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში“ პროგრამის სწორი დასახელებაა. დავით მახვილაძის თქმით, გუნდს, რომელიც პროგრამას ახორციელებს აქვს დიდი საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება და ინგლისური ენის სათანადო ცოდნით გამოირჩევიან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა დაწესებულებას მიმართა პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. ექსპერტმა ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა რომ „ბირთვული ინჟინერია“ არის დარგი, რომელიც საქართველოში არ არსებობს, რომელიც სწავლობს ატომურ რეაქტორებსა და რადიაციულ მასალას. შესაბამისად, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდებად „ბირთვული ინჟინერია“ მიუღებელია. მისი თქმით, წინა აკრედიტაციის შემდგომ, პროგრამამ დიდი პროგრესი განიცადა, რაც მისასალმებელია.

ალექსანდრე შარმაზანაშვილმა აღნიშნა, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ინოვაცია უნდა მიიღოს სტუდენტმა რათა გახდეს კონკურენტუნარიანი. პროგრამის სათაურმა თუ გამოიწვია ასეთი დაბნეულობა უნივერსიტეტი მზად არის შეცვალოს მისი სახელწოდება. დავით მახვილაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამას შეუსაბამობა არ აქვს შედეგებთან და კვალიფიკაციასთან. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი დაინტერესდა, როდესაც სტუდენტი დაამთავრებს პროგრამას, რა პროფესიის იქნება ის და სად დაიწყებს მუშაობას. ალექსანდრე შარმაზანაშვილმა უპასუხა, რომ კურსდამთავრებული გახდება ისეთი სპეციალისტი, რომელიც დაამუშავებს ვიზუალიზაციის პროგრამულ აპლიკაციებს. გარდა ამისა, მას შეეძლება სამგანზომილებიანი გეომეტრიული აღწერების შექმნა. ნათია ზედგინიძემ მიმართა ექსპერტებს. ის დაინტერესდა, არის თუ არა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისი დარგობრივ მახასიათებელთან. ექსპერტმა ავთანდილ თავხელიძემ უპასუხა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია დარგობრივ მახასიათებელთან არ არის შესაბამისი. დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს გაცემული რეკომენდაციები, რათა პროგრამა შესაბამისი იყოს დარგობრივ მახასიათებელთან. საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, არის თუ არა პროგრამის სახელწოდების შეცვლა პროგრამის განხორციელების წინაპირობა. ექსპერტმა აღნიშნა რომ უნივერსიტეტი თანახმაა სახელწოდების შეცვლაზე. მისი თქმით, პრობლემა არის ის, რომ პროგრამაში არ არის ის კურსები, რომლებიც აუცილებელია სტუდენტმა გაიაროს მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:24
დასრულების დრო: 18:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბირთვული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებისა და შეფასების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბირთვული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადადო და აკრედიტაციის დებულების 27^3 მუხლის, მეორე პუნქტის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება იშუამდგომლოს ცენტრთან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით მომდევნო სხდომაზე მოიწვიოს დარგის 2 დამატებითი ექსპერტი.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№51212; 21.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის ქ.35/რუსთაველის ქ.32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ნინო ჭალაგანიძემ და თამარ სირაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი დავით სიხარულიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2028 წლის 30 დეკემბრამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. მისი თქმით, დაწესებულებამ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გაითვალისწინა. პროგრამას დამატებით განესაზღვრა 60 დღე 3 რეკომენდაციის სრულად შესრულებისათვის. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შეფასება. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. კომპონენტები 1.5, 3.1 და 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გაუმჯობესდა სასწავლო კურსის „მაკროეკონომიკა 2“ სწავლის შედეგები და გაძლიერდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ვლადიმერ ღლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას დამატებით განესაზღვრა 60 დღე 3 რეკომენდაციის სრულად შესრულებისათვის. შესაბამისად, უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაციები სრულად შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:55
დასრულების დრო: 19:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე 2 მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:10 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია